 მეჯვარე (მოადგება) გზა, გზა ნიფე-დელოფალსა,
 თორემ ნახავთ ჩემსა ძალსა!

რ. ჭვჭელი. კი, ძამო, ძალს ნუ იქადი,
 გზა გახსენი—ისე წადი.
 მეტრელი. ჩქიმი კოჩი, მომე ფარა,
 რომ გაუხსნათ გზაი ჩქარა
 მეჯვარე. შეილო ბევრს რო გეხვეწებო,
 ძალსა სდგებარ, მევაჭრები.

(მეჯვარე ხმ. ლს იძრობს და გაბმულ ზონარს შუა გა-
 ჭვითს. გზა გაიხსნება. ნიფე აღმასსან და დედ ფა-
 ლი ნათელა კარებში. შემოვლენ: აღმასსან და ხათე-
 ჭლა რა შემოვლენ, რუს-გენერალი, გახსდარი, გა-
 ნრ ედილი, აგონებ აგლეჯილი ძველ სამხედრო მუ-
 დირთი, რაცრაცი, „ჩესტს“ უკეთესი მექარწელო.
 რახელში არეის ბოთლი უჭირავს მოფარებით აღ-
 მასსან მათლაფას ფეხს დასცემს და დაამსხვრეეს.
 გურული დამაჩას გაიხვრის ჭკრში. კაქელი შესი-
 ხებს „მოკული მტერა—ისარე ჭკრა!“ რაცა
 აღმასსან მათლაფას დაამსხვრეეს)

ტიტიკო ჯან! ქირიმე შენი ძალის,
 იმედია მომავალის!
 (ჯვარწერილებს შემოჭვრებიან ჯვრის წერის დამწრე-
 ნი—მეჯვარის ამხანაგნი: ანამი და ასანალო, მონ-
 დეოთ მყარი „კუხს ბედნიერ“ სისიმდერთ ტუში)

3

(ნიფე-დელოფალი სხელში რა შევლენ, შუა ფარდ
 ახსდება. გაშლილია გრძელი ლურჯი სუფურები. ნიფე-
 დელოფალი სავანებო ტახტზე დასხდებიან. ერთი
 მანდილოსანი დედოფალს კაღთაში ბიჭს ჩაუკარებს,
 ერთი მანდილოსანი, აგრემც ბიჭი გაგინდებთ,
 სამ. მულე ჩაგიდგებათ.

გნ. სიდონია. შეიღონო, ისე გაგახაროთ,
 როგორც გულით გენატრებათ,
 ოლონდ გქონდე სიყვარული
 არაფერი რაგაკლდებათ.

ანამი. ძმანო, ითქვენნი ჯვარის წერა,
 არის ჩემიც გულის მღერა.
 ახლა ისევე ჩენ ვართ ძმები
 ერთმანეთის თავის მღები.

ასან ალია. შუაურ ალაპ! ვიტყვი ერთსა,
 თქვენს სიცოცხლეს შევთხოვ ღმერთსა.
 გზა და კვალი ცხოვრებისა
 თქვენ გაავლეთ ხალხთ შებნისა.

სხვა სხვა კუთხის—ორი ჯურა
 დღეს ერთმანეთს შეეწურა.
 ერთობაში არის ძალი,
 ერთ პირს მტერი ენაცვალა!
 (ტუში. დაიწყება მილოცვები: მართმევენ სხვადასხვა
 ძვირფას ნივთეულობას, ოქრ-გერცხლს და სხ.)
 მეფანდურე. გურულებს შეუწევიათ.
 ვერცხლის საინით ქურქელი,
 მეგრელებს—ცხენი საჯდომი,
 მის მოსართავი—საბელი
 კახელებს—ღვინო ურემო,
 ქართველებს ქადა-ნამცხვიარი,
 თუშხევსურთ ფარი-ფრანგული
 საკლავი—ძროხა და ცხვიარი,
 რაქველ ლეჩხუმელთ—ოქროი,
 შრომ ში მონაგუბარი,
 აჭარელ-ქ. ბუღეთლებსა
 ფორთოხალ-თაფლი და კვარი,
 სომხითელთ მანდია ზოდები.
 ბუნებ-ს ნაწუშავარი,
 ინგილოელთა სპილენძის
 ავეჯი ზარნიშ-ნამწვარი,
 სვან-აფხაზ ჩ ჩანთ ქარელთა
 იარაღე-ლი ბევრგვარი...
 ოსებსა—ტახი ბურვავი
 ჩვენს ტყეში ნაქოსმანარი.

(ყოველ გვარტომის სსენებაზე მოისმის:
 „გაუმარჯოს, გაუმარჯოს!“)
 აღმასსან მადლობელი ვარ ყველასი,
 აწ ავსებული ლხენითა,
 ჩემი თქვენდამი პატივი
 ვერ გამომ თქვამს ენითა.
 ჩემს ძვირფას მოძმე მეზობელთ
 მიეძღვნას ტკბილი სალამი,
 დე, გვექნეს ძმური ცხოვრება,
 ჩვენი წყლულების მალამი,
 დიდება ნიფე დედოფალს
 და ჩვენს ბრწყინვალე მომავალს!
 (ქართლელთა „მწავალ ჟამიერი“)
 სავითოდ. მოყვარევ, ნება მიბოძე,
 გითხრა ამბავი გულისა.
 გოლა ისუიერი. შენის მიზეზით გამობარის,
 შემქმნელად სიხარულისა.
 შავი დღე ბევრი გინახავს,
 ბევრჯერაც ცრემლი გდენია,
 მაგრამ მიზანი ცხოვრების
 უქმად შენ არაგშებენია.

რაც გულში გუდვა ისა ჰქმენ,
 მოსპე-მოსრისე წოდება;
 გლეხმა თავადი შეირთე,
 თანც შეიძინე ქონება.
 ამ დღიდან მხოლოდ ერთი ვართ,
 აღარ არს ამერ-იმერი,
 ვანც ჩვენს ერთობას დაარღვევს,
 ის შეიქნება თვის მტერი.
 მეც შენს მაგალიძს მოვეყვები,
 თავადის შვილი, კახელი,
 გლეხს ქალს ვირთავ, მარიამს,
 უნდა მიბოძოს მან ხელი!

აღმასხან. შაბეროს და ამრავლოს,
 ეს მაგალითი სხვამც ნახოს!
 (გოლა ინჟინერსა და მარიამ ქალს ხელისუფლის
 შიაცემინებს. გოლა მარამს ჰკოცნის ტუში)

(კახელთა მრავალჯამიერი)

ტიტიკო (ნათელას), აბა, დაიწყე სიმღერა, —
 თუ ქორწილია — არ მჯერა.
 შენი ჯერია ნათელა!
 ხომ აღარ ბნელა — ნათელა!..

ნათელა (ჩინგურზე მდგარს)
 ბნელეთს დაემა ზეწარი,
 ნემ მოგვაფინა სხივებ-;
 კურახევით გვატკერს ზენარი
 ხალხთ ცოდვით განაკვირვები.
 იხარე გულო, ჩაგრულო,
 დრო გველის სიხარულისა,
 თუ გსურის ნდომა ისრულო,
 ატნაც გმართებს წყლულისა!
 მზე-მთვარე გვეალერსება,
 ვარსკვლავნი გვესალმებიან,
 ხელფეხს ბორკალი ეხსნება,
 და ჩვენი სულნიც სტკბებიან!

ეჭიბი (წამოდგება და ახანტუქას აძლავს)
 შეუანდურე. სმენა იყოს, გაგონება!
 ახლა ნეფე ილოცება!

ეჭიბი ნეფე ილოცება —
 ღვთის პირით დაილოცება:
 ღმერთთან გაშორით:
 ყმობა, მონება,
 შუღლი და ჩხუბი,
 არ გაგონება,
 სხვისთვის ცხრვრება,
 სხვის გაგონება;
 სახლში მტერი,
 უფროსი — შტერი,
 თავის არ ცნობა,
 მტრის არ გაცნობა.

ნეფე ილოცება —
 ღვთის პირით დაილოცება:

ღმერთთან მოგცეთ
 ცხელი მრავალი,
 ძროხა უაფლელი
 და მოსავალი
 ჯოგი ცხენისა,
 ღორი — ქოსმანი,
 ნაირ-ნაირი
 სახლში ფრთოსანი.
 ბეღელში პური,
 სავესე ქური,
 ტყე და მინდორი
 მუდამ მაძლარი,
 მამულ-დედულის
 არ სჩნდეს საზღვარი!
 ნეფე ილოცება —
 ღვთის პირით დაილოცება:
 ღმერთთან მოგცეს
 ექვსი ვაჟი,
 ოთხი ქალი —
 სუყველა კაჟი,
 ცა-ქვეყნის თვალის;
 სწორ-უპოვარი,
 ძმა — მებობელი,
 ქვეყანა წყნარი,
 მუდამ მშ-ომელი.
 ძმა — ძმისთვის მკვდარი,
 ნეფე ილოცება —
 ღვთის პირით დაილოცება!
 სახლი აგვესოს
 შვილის შვილთა,
 სიმწარეს ჰკლავდენ
 მუდამ ტკბილითა

კერაში ცეცხლი
 არ ჩაგქრობდეს,
 სახელი მარად
 გედიდებოდეს! —
 ნეფე ილოცება,
 ღვთის პირით დაილოცება!
 საერთო ხმა: ღმერთმა დალოცოს! (საშფურ)
 ტიტიკო. ახლა გმართებს ჩვენ ღმერთი,
 არა მხოლოდ ტიტინი!
 აბა, ერთი ლექური
 ქა სიმღერაც ზევსური.
 სიძე მჩმო დაიძარ
 ქალო დაწყე მხარ და მხარ!..

(საღამური, სიმღერა, ლექური,
 ტექსტები ადმასხან და ნათელა)
 ერთხმად: გუმარჯოს აღმასხანსა,
 მის მარჯვენას, ჯიბე-ჯანსა!
 ფ ა რ და
 იოსებ იმედაშვილი

ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული სიონის ტაძარში კათოლ. პატრიარქის კირიონ მეორის ანდერძის აკეთებზე, კვირას 7ივ 1618

მშვიდობით თქვენო უწმიდესობაჲს!

ეს ერთი კვირაა შენი ანჩის ხატი, მთელ მორწმუნე თბილისის ქართველობასთან ერთად, გულდათუთქული დაგჭვითინებდა ტყვიით განგმირულ თვისს მამათ მთავარს. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხიდან მოზღვავებულა მთელი საქართველო, -შენი სამწყოს, -რათა მიგაცილოს საუკუნო განსასვენებელ სავენამდე. დაობლებული შენი სამწყოს, ისევ დაქვრივებული ივერიის ვკლესია, დღეს საქვეყნოდ მოსთქვამს და ჰგოდებს თვის ვაებასა, თვისს უბედურებასა, თვისს ეგზომ დაცოდვლებას სამშობლო ქვეყნის გარეშეთაგან გაქირებას ეს შენი საიდუმლოებით მოცული კუბოც მძიმეა! ლოდვით შენ და რთო. ასეთ განსაცდელს ადგილი აღარ უნდა ჰქონებოდღეს ჩვენში!

არ ვიცი, შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუგებრობის თუ უმადურობის ნაყოფია. ზოგჯერ მტერი ვერ უხამს ადამიანს იმას, რასაც თვით ადამიანი თავის თავსო, -სწორედ ჩვენზეა ეს ნათქვამი. სხვებმა, გარეშებმა, ჩვენმა პტრებმა და ორგულებმა შეიგნეს შენი დიადი პიროვნების ღირსება, -ჩვენ კი ვერა! სხვებმა, უცხოელებმა, დაფასეს შენი გონებრივი და ზნეობრივი ღვაწლი სმშობლოათვის, -ჩვენ კი ვერა.

ვერ გამოვიცა, რას ვთხოვლობდით კიდევ შენგან? სხვა ქვეყანაში ასეთ ნაამაჟო, დამაშვრალ მცხოვრან ღოღაწეს დასვენებენ ხალმე, სიბრძნის ყამს დაუტკობენ, ვანვილ ტანჯვა-წაშებას დაუამებენ და, თუ კიდევ სამოღვაწეოდ მოიწვევენ, მაშინ თავს ევლებიან მას, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მისს სიბრძნე-გამოცდილებით ისევ ასარგებლონ ქვეყანა. ჩვენ ასე ვერ მოვქეპციით. ჩვენ მხოლოდ უუფლობო, უნების-ყოფო, კათოლიკოს-პატრიარქად ამოგირჩიეთ! თითქოს ჩვენი ეკლესიის ხომალდის საქეთმპყრობელად მოგიწოდეთ. ნამდვილად კი ეს საქე ხელდგან გამოგტაცეთ! ქედ-მადლობა, გამძვიბული შური, საარაკო თავებლობა და გულფიცხელობა ვაწარმოეთ თვისს მამათმთავრის გარშემო; უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ჩავამწარეთ მას და ახალ საქათველოში ეკლესიასაც ძირი გამოუთხარეთ, არსებობის ნიადაგი გამოვაცალეთ...

განა მხოლოდ კირიონ კათოლიკოსს მოვექეციით ასე? უფრო მეტის სისხსტიკით გავისტუმრეთ საიქიოს დიდი ილია! წიწამურის ტრადელია შეამზადა ბლოშვიეკურ ყურნალმა „მოგზაურმა“, -მარტყოფისა-კი ასეთმვე ჯგუფურმა „ახალმა სიტყვამ“ როდესაც ილიას და კირიონს ყოიინას სცემდნენ უგუნურნი, ჩვენში არ აღმოჩნდა ივნე, რომ დამაშვრალთათვის ნუგეში ეცათ, მათვის მოეგნებოთ უპასუხისმგებლო კალმოსანნი. პირიქით უფრო ასისიანებდენ ამით...

ილიას და კირიონს მამულიშვილობა, ჟანგარობა-და სამშობლოსათვის თავ-გაწირვა როდი ესწავლებოდათ, საყვარელნი!.. მაგრამ დღეს რაღა გვეთქმის დღეს ისევ საქვეყნო სირცხვილოში ჩავეციდით, ქართველო. ეტყობა ისტორიის გაცვეთილები ისევ ფუჭია ჩვენთვის ჯერჯერობით მაინც...

მაგრამ დრმად გვრწამს საქართველოს კირისუფლის ნიკო ბარათაშვილის ანდერძი:

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი, შენგნით თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“

დაიხ, „გზა უვალი“ კირიონისაგან „თელილი“ უსათუოდ დარჩება“ ამ გზაზე უკვე დაგვყენა განსვენებულმა პირველმა მან შეაშუქა ჩვენი საზოგადოებაში ჩვენი ეკლესია განთავისუფლების აზრი. შეაშუქა არა 1905 ან 1917წლებში, როდესაც ქვანიც კი ლაღდებდნენ, არამედ უფრო ადრე, როდესაც სუსხიანი ჩრდილოეთისაგან ყოველი აზრი და იდეა თავისუფლებაზე იყო ჩვენში გაყინულ-გათოშლილი. კირიონი კი მაშინაც სთესდა ჩვენში თესლსა კეთილსა. ის შეესწრო კიდევ ამ თესლისაგან ნაყოფის გამოღებას, მაგრამ თვით კი ვეღარ იგემა თვისი ნამუშაოარი

ბისა ყოფილა ხვედრი ქართველ საზოგადო მოღვაწე-და ვერც კირიონი ასცდა თვისს ხვედრს.

არ შემიძლეა არ გამცნოთ, საყვარელნო, კირიონისაგან ერთ სასკლესიო წრეში უკანასკნელად წარმოთქმული აზრი ჩვენს ძალთა ურთიერთ განწყობილებაზე: „ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, -ბრძანა განსვენებულმა, -შორიდგან თვალყურს გადევნებით, ვფიქრობდი, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ საკმარისად შეიგნით საქვეყნო მოვანლოება, მაგრამ, როგორც ენლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო გაზრწნილხართ, დაქვიეთებულხართ და დაქსაკსუდხართ. თუ ხელახლა დაიბადებით თორემ სხვა ფრივ თქვენი გამობრუნება შეუძლებელია,“ ნაღვლი ანად დაასრულა მანთვისი მწყემსმთავრული მხილება;

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩსენ „ხელ-ახლა დავიბადებო“ როგორც განსვენებულმა გვამცნო, -ახალ საქართველოში; მხოლოდ თავისუფალ საქართველოში აღორძინდება, ამაღლება გაფაქიზდება, ძალთა განწყობილება, მხოლოდ განახლებულ მოქალაქეობაში შეესძლებთ უკუ ვავადოთ აწ დამხობილ მონობისაგან ნაანდერძევი გაზრწნილი ზნე-ჩვეულებები და შეერთებულ-ძალონით სამშობლოს ვეშასახუროთ. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ აწ თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ეკლესია შესძლებს აღუზარდოს სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი მტკიცე ქრისტიანულ ზნეობის ნიადაგზე. უნდა შევიგნოთ, საყვარელნო, რომ მხოლოდ წმინდა სახხარების მცნებებზე აღზრდილი ვრია უკვდავი და უძლეველი.

ამ რწმენით მიგაცილებთ, ტანჯულო მამათმთა“ ვარო, საფლავის პირზე; აქ „ქალარა სიონის ტაძარში მივებარებთ შენს ნეშტს მშობელ მიწას. აქ დაისვენე და განისვენე, დამაშვრალო! აქ მაინც აღარ იქნები „განმარტოებული“ აქ მუდამ სინანულის ცრემლებს დავაფრქვევთ შენს წმინდა საფლავს. შენც უწმიდესო მეუფო, აქედან თვალყური გავდევნე, გავგამხსენე, არ დავგივიწყო, არ დავგწყველო, არ შეგვაჩვენო; პირიქით შენებურად დიდსულოვნურად შეავედრე ჩვენი ეგზომი დაცოდვილება სიონის ღვთის მშობელს, წმ. ნინოს და ჩვენს ნათლით მოსილ წინაპართ.

შეგცოდეთ, -შეგვინდევ და გვაპატიე, ჩვენო დაუვიწყარო მამათმთავარო.

ღმერთი იყოს შენი მოწყალე. ამინ.

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე

პირველი ნაბიჯი

ბუნების არც ერთი საიდუმლოება ვერ დაემა-
ლებს ადამიანის მეცნიერულ ვიწროებას, თუ მიჰყვას
მისი ძებნას, როგორც საქარაა. მისთვის მალე ძვე-
ლდება ყოველი გამოგონება-ადამიანის და ნაშრომი სა-
განი, სულ ახალის ძებნაშია. გუშინ რომ ახალს უწო-
დებდა, დღეს მისი შემდეგი საიდუმლოების ძებ-
ნას ეწაფება და მხოლოდ მისი ჰომინთ იტკობს
თავის მძალე წყნობას...

მონა, ტუფე; დაძაბუნიებული და ნებაწარსული
ადამიანის გონება მოკლებულია ყოველ მეცნიერებას...

დადგა ჩვენთვისაც საბედნიერო ხანა: ვრჯო-
ხეთი სამოთხედ გარდატეხილა... მსგეი ფართოდ და
მსურვალედ გადმოგვაუინა თავის მრავალფეროვანი
სხივები და თავისუფლად ამოისუნთქა ტანჯულმა ხა-
ლხმა. მოშორდა ბოროტი ბარათაშვილის ობოლ
სულს... აუვადა ილიას სხეულზე მამული... შე-
ვგუფდნენ ქართული გმირები, აკაის დაფი და ნა-
დარის ძახილი, და შეერთებულ ძალით სდარაჯობენ
მამულს... კვლავ გაისმის წკრალი უკვდავ რუსთა-
ველის ქანარისა...

გაქპრა სულით შეწუხებული დემონი, რომელ-
მაც ამსხვერვლა თამარის ნორჩი მურაზი და თვი-
სით პირდებოდა ბედნიერებას; მაგრამ სულით ძლი-
ერმა და მომავლის მძრწმუნე თამარმა, არ დაჰკა-
რგა გონება და არ ემთხვია ტარტაროსს...

ბევრმა აღიარა საქართველო სუკუნოდ მიძინებულად-
მაგრამ კატრუვდა ეს თქმულება; გაიხსნა მრავალ შე-
კვანძული ჯადო...

სხვა ბედნიერებათა შორის, ქართულ ხელთნებასაც
მიექცა უურადლება: ერთგული მუსიკის ახალბო-
ნებლად უკვე გადაიღა პირველი ნაბიჯი, ერთგული
მუსიკის ახალბოძინებლად დაარსდა ქართული სამუსი-
კო სასწავლებელი, ქართულ მუსიკის მომღერალთა
კავშირი, მხედართა კავშირი და სხ., იმედია, ესენი
უუურადლებოდ არ დასტოვებენ ქართულ სიმღერა-
გალობასთან ქართულ საკრავებსაც, რადგანაც ქარ-
თული ჰანგების შესრულება ფორტოპიანოზე (რაც
ელანდ დამოკიდებულია ევროპიის მუსიკის თეორია).
იკეთივე დისონანსი იქნება, როგორც რუსული ან-
ბანით ქართული ლექსის წაკითხვა.

ჩვენ გამომეშინა არსებობს (როგორც აღმო-
საგლეითი ერების მუსიკაში) შესამედი და მეოთხედი
ნაქვეთები (ტონა) და ამ ხმებს ევროპის მუსიკის
თეორია არ იცნობს.

ამ ნაქვეთებშიცაა განსხვავება, რის საშუალე-
ბითაც ირგვეს ქართულ და უცხოეთის გამომთ-
მართლებას; მაგალითად: ქართული საქცევი ინტერვა-
ლ არ ეთანხმებთან სპარსულ-არაბულ მუსიკულს და ფარ-
იანის „ჩელმე-გულზარ-მუსიკის“ ხმებს... აღ-

მოსაგლეითის მენზურადურ თეორეტიკას აღვილად
შეუძლიან გარკვევა მუზობელ ერების ჰანგებისა, რომე-
ლნიც შეწეულა ქართულ საქცევი და ატრეოვე პირიქ.

ჩვენ აქნობამდე აღმოსაგლეითის მუსიკის აღ-
ბოძინების იმედი ევროპელ კომპოზიტორებისგანა გე-
ქნდა, მაგრამ იმის-კი აღარა ვკითხულობდით: გა-
გებებს რამე თუ არა ჩვენი მუსიკისა?.. დღეს ისე აღა-
რდა აღარა ვართ სხვი ხელში მათეურებლნი. მისი
აღბოძინება მიენდოს და დაეგალოს აღმოსაგლეითის
მუსიკის მიფარველთ და მცობელთ, ესენი შეასრულე-
ბდნენ კიდევ თავიანთ მოვალეობას...

უპირველესად უურადლება უნდა მიექცეს ქარ-
თულ მუსიკის დედა ბოძი — თარს, რომელიც თა-
ვისი მენზურით, ტიპით და ტონით აცალკევებ. —
აწაწილებს ქართულ მუსიკას უცხოეთის მუსიკისგან.
დაწვრილებით უნდა აღიწეროს მისი საქცევის ინტ-
ერვალები... დაწეროს სრული თეორია ამავე მენ-
ზურადურ მოწყობილ, რაცა გაგვიადვილებს ქართ-
ული ჰანგების აღდგენას... მხოლოდ ამას მეო-
ხებით შეგვიძლიან ნათლად დამუტყიცოთ ევროპის,
რომ იმით უმადლეს კომპოზიტორების დაწერილი
ბრიტანულური მუსიკა ჩვენთვის სრულებით უცხოა.

ხელთნებათა ერის სიმთელის და სამაგრას ერთ-
ძალას წარმოადგენს და ამიტომაც მისი ბედ — იღბა.
ლი სახვალთოდ არ უნდა გადაიღოს, არამედ დღე-
სვე; ამ თოფ წარბაზების-მიერ შექმნილ აბა
დონურ სიმთეობის ხმებში აღბოძინდეს ქარ-
თული ერთგული მუსიკაც... აისხას თვით ობოლი
მარტალიტებიც თარის ძალებზე — ფარდებზე და მათ
უდგრასთან ერთად კვლავ ამადლდეს სიყვარული აღ-
ბოძინთა შორის... იგი თანაბრათ მოქმედებს ვოფ
ელს დვთის განახუნთა გრძობაზე...

ქართულად იცან ყოველი შენი საქუთრებანი.
მამართე თარს და იგი უფრო სწორედ გამოხატავს
თავის სიმთა კვესაში, შენს ტირფარამიან წარსულს
და ბედნიერ მომავალს.

ალექსანდრე ოგანეზაშვილი

კითხვა — პასუხი

- გამარჯობა საქელი! — გამომარჯობს იგანე
 - კანცო ერთი მითხარი; რისთვის დაიკვირნი?
 - სწორედ ხათაბლას მკვანერობა ამ დროშია,
ერთი კვირა მოუნდა თბილისი დგან გორშია.
 - შენ ჩემისთქ ამბობილო, ეგ რა გასაკვირია:
ცხინვალი დგან გორამდე მოვალ ერთი კვირია.
 - შენ რა დმერთი გაკვირნი, მადლობი ფეხითა.
შე თუ დაფიგვიანი, ვიფავ მატარებლითა.
 - როგო დმერთი გამიწერა ვერ უაურბო ამ გზებსა?
 - მეტე სძინავთ, თუ რაა ამ მუდრეკ კომისრებსა?
კომისრებს არ სცადიანთ გართულან ქართუმბა!
 - ყოველ დღე ქეიფობენ წუწნით სარდაფებშია!
- მუშა ზ. ზემონანდაყელი

კაპიტან სიმონ ლაშინი

საქო. ავეტიქ, კაცო ავეტიქ!!

ავეტ. რა იყო, რა გაღრიალებს?

საქო. რაღა რა იყო? ძეგვის ხილი...

ავეტ. ჰო ხომ აფეთქდა. კიდეც ექვსიაო! (იღრიალებს)

საქო. საქმეც ვგ არი, რომ რიგიანად ვერ აფეთქებულა.

ავეტ. რის ვერ აფეთქებდა? ამბობენ პოეტები ვეღარ ღაღანაო.

საქო. მერე შე ვირისთავო! ისიც იცი რომ დაუჭერიათო!

ავეტ. რას მიპარავ? ვინ დაუჭერიათო! ჩვენი დაწნაკიდებმა საქმე ქნან და დაიჭირონ

საქო. კაცო გაიგე! გეუბნები დაუჭერიათ მეთქი! — არადა! ამ ობრებში ერთი საქმე ისე ვერა ქნეს, რომ შავ არ გაეზნენ. მაგრად დაუჭერიათ და!..

ავეტ. კაცო, ვის დაუჭერია! ერთი კარგათ აბისნი მაყავ.

საქო. ვის დაუჭერიადა, თითონ სუღების მინისტერს მესხიოვს. თურმე სღეღოვადეთელათაც თითონ ვამხდარა.

ავეტ. წერე მესხიოვი, განა ვრაცია? მე ხომ ჩვენი გვარის კაცსა ჰგავს!

საქო. აი სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. ჩვენ სუყველას ჰაიასტანადა ვთვლით. — ვამბობდით: ეს თიფლის ქალაქი „მეზნაო“, გორიც ჩვენიო, სიღნაღიც ჩვენიო, თელავიც ჩვენიო... არა და! ბაბუმაც ჩვენიო. უხურში ვაზოდის, რომ ჩვენი ვერის თავფეი ყოფილა ლამის იმდონი ვიხაროთ, რომ ერეგანიც არ დავკარგოთ.

ავეტ. კაცო, ლთავებს ნუ ამბობ! გეუბნები მესხიოვი სოცხურიგვარია მეთქი?

საქო. არა ბიჭო! გიორგაძეც სომეური გვარია, გიორგაძეც რომ არიან ნვენში! რის ჩვენია! ქართველი ყოფალა და რანაირი ქართველი? ისე მაგრად ჩაუვლია სღეღსტევის ძაფები ხელში რომ...

ავეტ. მოიცა, მოიცა! მერმე არ იქნება ის ძაფები დავწყვიტოთ?

საქო. შე ოხერო როგორუნდა დავწყვიტოთ, რომ იმ მესხიოვს ისეთი მაგარ მუშტით თურმე უჭირავს, რომ გიჟუს მუშტი იმასთან არაფერია. — გუშინ დამინახვეს და მსეთი დიდი თვალებიანი ვინმე ყოფილა, რომ მე შიშით წინაღამ სული გამებარა.

ავეტ. (დაღრუბული) მაშ საქმე ვერ ღავნეს რალა?

საქო რის ღავნეს. (ეურში უჩურჩულებს) კაცო ისიც გაგვია, რომ სხვა ხიდების აფეთქებაც ყოფილა შავ ღავთარში ჩწერილი.

ავეტ. არა და! ეს ოხერი ჩვენი დაწნაკიდები ამდონი ხანია ამ გიჟვრაცი! სოციალიტებთან შავირდათ არიან და ქკუა მინც ვერ ისწავლეს.

საქო. ეგა სოქვა და! (შაუხს) არა ავეტ ქჯან, მე როგორც უყურებ სულ ასე ვირის თავებად და ჩებთან — არა და! ტო, ყურუმსალ ააფეთქე?! რა და დოყოპიასავით პირი დაი გოლია? გასწი. თავს უშველე რალა? ვაგამ მევამობ, ავეტიქჯან, რომ ჩვენი კანცეს-სეგელა მოხლოვებულა.

ავეტ. გულს ნუ გაიტყვამ საქოჯან! ქართველი სოციალისტება კეთილი ხალხია, ისინი ამ საქმეს სხვანაირათ გაიგებენ. აქ დბალი ხლხი, რა შუაშია, ერთი ორი დაწნაკის საქმე იქნებო, და ეს საქმეც ისე მიჩუმდება, როგორც სხვები.

საქო. საქმეც ვგ არის, რომ მაგა აც თვალები გაახილეს და გაიგეს რა ინდისხურმებიც ვართ ყველანი. მე შენ გეუბნები, რომ იმ დო თვალებიან მესხიოვს ისე დაუწყია საქმის ვითარების გაგება, რომ თურმე ამ წყეულ ხიდის საქმეში ასობათ კაცები გამოჩნდებიან. წაღი ეხლაც და დააჯერე, რომ აქ ხალხი რა შუაშიათქო!

ავეტ. (დაღრუბული) მაშ საქმე პრწავ, ვაფუქე ულ რალა?!

საქო. მე შენ გეუბნები, რომ ეხლა ვეღარც ანგორჩანები კვიშველიან

ავეტ. რატომ? ისინი ხომ ჩვენებია?

საქო. საქმეც მანდ არის და! ამ ჩვენ ოხრებს იმთანაც საქმე გაუფუტებიათ და პარგამურულან.

(ორთავყენი დიდხანს დაღრუბულიან არიან, შემდეგ მწარედ დიდხანს ვაი — ვუას ხმაზე)

კრთად.

ძეგვის ხილი ჩატყდა, ჩვენი საქმე წასდა. სომხეთის საქმეები სულ ხვსემად გაქქრა!.. გენერალი მახნიოვი, ქალაქის დიდი გასდა. ვოენი ჰოლდოყენია ჩვენთავის საჭირო გასდა... ახა თუ გარგი ბიჭი ხარ, დამე გარეთ გასვალ! ისეთ ჭიტაქუს ამოგვრამენ, ორთაქალას ჩასვალ!.. აღექსანდრე ბაქრაძე.

ქართული ლატარია

ქართული ლატარიის შესახებ პირველად აზრი გამოთქვა სოლომონ ახველიანიმა ლატარიის დღევანდელმა დირექტორმა, რომელსაც ჩვენმა ჟურნალმა („თ-დაც“ 1916 წ. №) მაშინვე ყურადღება მიაქცია და მისი განხორციელება მოიწადინა. ამ აზრმა გაიმარჯვა და დღეს 3 მილიონის ნაცვლად 5 მილიონიან ლატარიას ემართავთ. ასე ძლიერია კერძო კაცის თაოსნობა და საქმის უანგარო სიყვარული. ქართული ლატარია რომ სასურველათ გაიმართოს საჭიროა მთელი ჩვენი ქვეყანა ჩაებას ამ საქმეში და და ეს კეთილი აზრი გაანახორციელოს. აქვე ვებეძვ ვო ს. ახველიანიის წერილს, რომელიც პირველად 1916 წ. „საქართველო“-ში დაიბეჭდა:

მრთი სანუალაპო თაატრის ასაგებად. (წერილი რედაქციის მიმართ)

საქართველოს № 235, შაბათ 22 დეკემბრისთვის 1916 წ

უმწეო მდგომარეობამ ქართული თეატრისამ ალაპარაკა საზოგადოებაში. ამ ლაპარაკს დროს ბევრი რამ გამოირკვა მაგრამ რა იქნება ესლანდელ მდგომარეობაზედ ცხადი და გამორკვეული: თეატრი არა გვაქვს! ამაზე უცხადესი და უსაშინესესი ჩვენ მდგომარეობაში მყოფ ერისათვის არა არის რა.

გავიდა ორი წელი და ამ ხნის განმავლობაში თითქმის არა გაგვიკეთებია რა. თავს ომიანობით ვინუგეშებთ და ეს ნუგეში იმდენად დამამშვიდებელია ჩვენთვის, რომ საქმე, მთლად თუ არა, ნახევრად გაკეთებული მიინც გვგონია. მაგრამ კმარა თავის მოტყუილება დროა რამე ვიღონოს!

მომავალ თეატრისთვის ფიქრი ყველას მართებს. მეც, ამ სტრიქონების დამწერი. ნებას მივცემ ჩემს თავს და ერთს საშუალებას გავაცნობ საზოგადოებას იმ საშუალებას რომელიც უეჭველია დიდ ენერჯიას მოითხოვს ჩვენგან, მაგრამ რომელიც ძალიან დავგიახლოვებს იმ ბედნიერ დღეს საკუთარი თეატრი ავაგოთ.

ეს საშუალება განლაფთ/იფ-ფასიანვი ლატარია. თუ კი ჩვენ შეგვეძლება მთავრობისგან ნებართვის აღებას და ეს არც ძალიან ძნელი საქმე იქნება იმ შემთხვევაში, მე ვამტკიცებ. სულ იოაპლე ხანში დიდ თანხას მოვავროვებთ.

აი როგორ უნდა ავიღოთ ნებართვა სამი მილიონი მამეთის ლატარიის ბილეთების გამოცემისა. ბილეთი უნდა ეღიროს არა უმეტეს ერთი მანეთისა. ეს სიიაფე ბილეთის ნებას მისცემს ღარიბ მასსამაც მიიღოს მონაწილეობა ლატარიაში. უნდა მოუხმობთ ჩვენში თუ უცხოეთში მყოფ შეგნებულ ქართველს. სოფლად მდვლები და მასწავლებლები უნდა ავამოქმედოთ. ერთი სიტყვით, უნდა შევექნათ ფართო ქსელი აგენტებისა. და თუ კი ესლა მრავლად არიან ისეთნი რომელნიც თავიანთ წვლილს არ ზოგვენ თეატრისთვის მაშინ როდესაც მათ ექნებათ თუნდაც სულ მცირეოდენი შესაძლებლობა რაიმეს მოგებისა. უფრო ხალისით არ გაიდებენ თავიანთ წვლილს, შეიძლება ესცდებოდეს მაგრამ მგონია, რომ საქმე ბილეთების გაყიდვისა კარგად წაყა.

ეს აზრი დიდხანია თავს დამტრიალებს, მაგრამ მისი განცხადების, არ ვიცი რატომ მეშინოდა უთუოთ იმისთვის რომ ბევრს ეუცხოვება იგი, რადგან ამგვარ და

რამეს ჩვენ დაჩვეულნი არა, ვართ; თუმცა ევროპის დიდი უმრავლესი ნაწილი კულტურულ დაწესებულებათა ამ საშუალებით იჩენენ საღსარს არსებობისას.

ენოა ვებედავ და თუ საზოგადოება დაინახავს მის არა უნიადაგობას და ყურადილებს ბედნიერი ვიქნები მისთვის, რომ იმედი მომეცემა ჩვენ ეროვნულ ტაძარში შეიდე და იქ წმინდა ხელოვნებით ვეზიარო.

თეატრის მეგობარი (სოლომონ ახველიანი).



ანტონ ზურაბის ძე ჩიქოვანი
(გარდ.ნახევარი წლის შესრ. გაშო)
ძველი ქარფკელი მეომარი, ოსმალებთან გმირულად მებრძოლი, რომელიც ბოლო ხანში ოსმალებისა და ბოლშევიკთა შემოსევით გაცეცხლებული ახალგაზდობას მოუწოდებდა საქშობლოს დაცვისაკენ. გარდაიცვალა მაისის 26, დაბადებიდან 80 წ.



კ. ფოცხვერაშვილის სამუსიკო დილამ დეკემბრისთვის 27 სახ. თეატრში ხალხი ნაკლებათ მიიზიდა. მიუხედავათ იმისა, რომ იგი ინტერეს მოკლებული არ იყო, პირველათ დაუკრა ჩვენმა სამხედრო გუნდმა, ჩვეულო რივი სახით შესარულა მარში და სხვა მოტივები, შემდეგ დაუკრეს გერმანელებმა, რომელნიც საკვირველი უნარით იცავდენ ხმოვანებთა პარმონიას, რაც ისეთ შთაბეჭდვლებას სტოვებდა თითქოს ყველა საკვირე ერთი ძალით, ერთი საშუალებით იკვროდეს და არა ორმოცი პიროვნების შემწეობით: არსად ჩამორჩენა, ან წინ გასწრება ტონებს არ ეტყობოდა, რაც სასიმოგნო შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელზე. თვით ნაწარმოები თავისი მრავალფეროვანი სახით აორკეცბდა მსმენელის ყურადღებას. იყო მომენტი, როდესაც მუზიკა შორს ბუნების წიაღში მოგავგონებდა მორაკრაკე წყაროს, რომლის ტიკტიკს არღვევს ხოლმე ბუნების ძალები. ყველა იმ მოვლენას, რასაც ადამიანი განიცდის, ტურფა ბუნების წიაღში და თვით თავისავე ბუნებაში საკვირველი ხელო-

ნების იყო ჩაქოვილი ამ მოტივებში, რაც გერმანელთა მუსიკამ შეასრულა. შემდეგ ბატონმა ფოცხვერაშვილმა ქართველ-გერმანელ გუნდთა ძალით, სადაც სიმებიანი ორკესტრიც მონაწილეობდა, შეასრულა ქართული საერო 11 საუტ. იამბიკო, უ არმაზის ჰიმნი, კერპთა დამხობედან, ლაშქარული, თავისფლების მარში და სხ. ვისაც შესწევს დაკვირვების უნარი და განვითარებული აქმბ მშობლიური გემოვნება, ის შეამჩნევს, რომ ეს ჰიმნენი მართლაც შეიცავენ რამოდენიმე ჩვენს ნაციონალურ გემოვნების წყაროს. ჰიმნების ბოლო კილოკავები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოგაგონებდა ზოგ ალაგს შაშვის ტახტახს, ზოგი ხალხურ მელოდიის ნაპრალებს, რომელიც ხელოვნურად და თავისობით შემოქმედებით იყო ჩაქოვილი ხელოვანისგან; ერთ ალაგს აღარ მახსოვს, რომელ მათგანში, ისმოდ ქართული მგზავრულის ერთადერთი მუხლი. მეტათ საინტერესო იყო საიერიშო მარში. ის ჩვენ ტემპერამენტს სანგრძობლათ ახლო ვლდობდა. ამიტომ იყო, რომ ხალხის გულიდგან აღმოხდა დაუსრულებელი ტაში, რისთვისაც ლობტარს ეს მარში გამეორებინეს. საერთოდ ფოცხვერაშვილის მუსიკაში დატულია ერთგული მელოდიის ერთგვარი თავისებურება, რომელიც კულტურის მრავალ ფეროვან მანტიამო გამოატყვივის. აქ ხანას ერის გრამობათა განცდიანი ჩვენი ტურფე ბუნების სიკვლეუცე და თვით ტემპერამენტი ქართველი ერისა. დასასრულ მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო ფოცხვერაშვილის კონცერტზე წარმოთქმულ მოკლე სიტყვას: იგი ეკაბათებოდა ვილაცას რაღაცაზე. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ სანამ მთავრობა არ მიბძანებს, მე საერთოდ მოტივებს სხვას აღარ შევესრულებო. ჩვენი სამუსიკო ხელოვნება საქართვეობს განვითარებას, მაშასადამე ხელოვანი ყოველ შემთხვევის გარეშე უნდა იდგეს; მხოლოდ მაშინ შეუძლიან შემოქმედებას ფრთა გაშალას; ამიტომ შეეკრფოდნო ჩვენს თავისუფლებას. საქიროა ამას ბატონმა ფოცხვერაშვილმა ანგარიშა გაუწიოს.

მუშა მ. დევაძე

ქართულმა სამუსიკო ს. - ზამ ბეჯითად მოპკიდ ხელი სამუსიკო ცოდნის გავრცელებას. გემამაც საუცხოო შეუღლებია: გაგვაცნოს ყველა ერის მუსიკა ცალკალკ ვიისაც კი თვალსაჩინო რამ მოეპოება. გიორგობისთვის 1 სამუსიკო სკოლის დარბაზში გამართა გერმანული მუსიკის კამერული კონცერტი. შეასრულეს უკვდავ მუსიკათა ბეთოვენის ვიგნერის და შუმანის ნაწარმოები შესრულების მხრით საუცხოო იყო და საზოგადოების მხრით დიდი ტაშიც გამოიწვია მეორე სადამო უძღვენს რუსულ მუსიკას განზრახვა გამართონ ფრანგული იტალიანური ქართული და სხ. ერთა სამუსიკო სადამოები არჩეული გზა ფრიად გონივრულია და მიზან-შეწონილი: ასე უფრო გავიცნობთ სხვა სხვა ერთა შემოქმედებას. ვუსურვებთ წარმატებას. ჩვენმა მთავრობამ ამ საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ

წინამძღვარი.

ქართულ დრამ ტიულ საზოგადოების დასახ წარმოდგენების სეზონი სახელმწიფო თეატრში დაიწყო გიორგობისთვის 18 „სარწმუნოება“ თა, ჰიესა აღებულაი ძეგლის დროიდან, მეტისმეტად რთულია, მრავალფერადი, შიგა და შიგ გქელ გქელი ადგილებით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დასმა მაინც დირსეულად დასძლავა ეს ძნელი ჰიესა და სანუკუშო იმედა ჩავინერგა, რომ ჩვენი სტენა

აღორძინდება, სახელმწიფო თეატრითა ეტყობოდათ, სხანდა რეუისორის სელიც. ბეჯითი მუშაა — და პრწინვალე მომავალი მათია. დაწერილებით შემდეგ. ამ ჰიესას რამდენჯერმე დასდგამენ. თეატრი სახელისით სავსე იყო... გამარჯვება სახელ დასს!..

უსავანო.

შეამოწიკრულა

- ყურნალი „თეატრი და ცხოვრება“-ს შემოსწირვის:
- 1 მარკოზ ლობჯანიძემ 25 მან.
 - 2 ოლა ლობჯანიძისამ 25 მან.
 - 3 თამარა აფხაზიშვილმა 4მ. 50კ
 - 4 ნ. ე. თავდგირიძემ 50 მან.
 - 5 მ. აბაშიძემ 100 მან.
 - 6 თამ. აფხაზიშვილისგან შეკრებილი: ოთხი მან. გ სო თეთბერიძემ, თ. აფხაზიშვილმა 3 მან. ორთხი მან. აგნაფინა დოდაძემ, ანა ერადემ; ნინო ბეკაშვილისამ — 1მ. 50კ. თითო მანათი. ანა ოლაძემ, ოლაჯა ქუთეთელისამ, ლიუდმილას ქუთეთელიძემ, მარამ ლომიძისამ გარინკა ნაკოლაძისამ, თამარა დონდ ძისამ, — სულ 23 მან. 50კან.
- შეამოწიკრულთ გულითად მადლობას ვუძღვნით. რედ

ვევლასითვის საჭირო და სასარგებლო წიგნი (ოცდა ხუთი წლის ნაშრომი)

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედეგნილი იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორე შეკრებულ-შესწორებული გამოცემა, გამოვიდა. შეიცავს 1112 სვ. ხელის მომწერთათვის, საუკეთესო უდიო — 25 მან, უუდიო — 15 მან. (წინად შემოტანილის გამოცემა). ბაზარზე უდიო — 3მ. უუდიო 25 მ. საწეობი: თბ ლისი, ბაზარის ქ. ნო, მერი 20, ალექსანდრეს ბაღის შირდაშირ, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“

სამღვანო მსახური

დოანოზ კიკნაველიძე. ადიდების ფოტოგრაფიულს სურათებს და ასრულებს ყოველფეკვარ მსატყრულ საქმეს. — ამსადებს საუცხოოდ, ფაქისად და დროსე. მისამართი: ქ. თბილისში — სომოლანი ქ. № 1, ვვირილიაში — ფოსტის ქ. ბეკლარ ვვენცაძის სახლში.

ქართული ლატარია არ დაგავიწყდეთ! რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი